საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 23 0000150395

09/02/2023

ხელოვნების, პერსონალური მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების სწავლის სფეროებისათვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისადა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-4 მუხლის საფუძველზე, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნიკოლოზ ფარჯანაძის, 2023 წლის 04 თებერვლის №124344 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტი) შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი ხელოვნების, პერსონალური მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების სწავლის სფეროებისათვის.
2. ხელოვნების, პერსონალური მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების სწავლის სფეროების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა მოხდეს შემდეგ დეტალურ სფეროებში:

ა) 0211 - აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
ბ) 0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
გ) 0213 - სახვითი ხელოვნება
დ) 0214 - გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)
ე) 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

ვ) 1014 - სპორტი
ზ)1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
თ) 1019 - პერსონალური მომსახურებები - არაკლასიფიცირებული
ი) 1031 - სამხედრო საქმე და თავდაცვა
კ) 1032 ადამიანებისა და საკუთრების დაცვა
3. კონკურსი გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - (www.hr.gov.ge) და კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 10 თებერვლიდან 2023 წლის 10 მარტამდე.
4. კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:
4.1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა ან/და სამეცნიერო კვლევის გამოცდილება;
4.2. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება;
4.3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;
4.4. „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
დ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ე) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ვ) შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.
4.5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: word – კარგი, excel - დამაკმაყოფილებელი.
4.6. შემდეგი უნარების ქონა:
ა) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ბ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
გ) სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.
5. ექსპერტთა ფუნქციებად განისაზღვროს:
5.1. ექსპერტთა ჯგუფის თოეული წევრის ფუნქციაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის შეფასების პირველ ეტაპზე, შეისწავლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; აგრეთვე, მონიტორინგის ფარგლებში დასადგენი საკითხების შემოწმების მიზნით, გაეცნოს შესაბამის მასალებს და დოკუმენტაციას;
ბ) დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, სტანდარტების რუკის ფორმატში, ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევაც სურს ვიზიტის ფარგლებში და შევსებული სტანდარტების რუკა

შეთანხმებულ ვადებში გაუგზავნოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს;
გ) შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში;
დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;
ე) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები; მოახდინოს თვითშეფასების ანგარიშში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადში ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეალურად არსებულ მდგომარეობასთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან და ასევე შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებით;
ვ) ვიზიტის/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვასა და შეჯამებაში;
ზ) მონაწილეობა მიიღოს დასკვნის პროექტისა და საბოლოო დასკვნის მომზადებაში;
თ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში.
5.2. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განაცხადის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:
ა) უხელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის შეფასების პროცესს;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილება ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით;
გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი სტანდარტების რუკის შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშავოს ვიზიტის დღის წესრიგი/აცნობოს ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;
დ) ცენტრთან შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;
ე) ვიზიტის ფარგლებში უხელმძღვანელოს ინტერვიუირების პროცესსა და შეხვედრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან;
ვ) ვიზიტის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის მიმდინარეობა შეაჯამოს ექპერტთა ჯგუფის წევრებთან;
ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების წინაშე;
თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;
ი) ცენტრისგან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დასკვნასთან დაკავშირებით მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;
კ) მოახდინოს დასკვნის შედეგების წარდგენა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში).
6. კონკურსის ეტაპებად და შესაბამის ვადებად განისაზღვროს:

6.1. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კონკურსის გამოცხადება და კანდიდატის მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა საჯარო სამსახურის ბიურის ვებგვერდზე - hr.gov.ge - 2023 წლის 10 თებერვლიდან 2023 წლის 10 მარტამდე.
6.2. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, გადარჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით - 2023 წლის 10 მარტიდან 20 მარტამდე.
6.3. 2023 წლის 21 მარტიდან 2023 წლის პირველ ივნისამდე:
6.3.1. ტრენინგების ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს ტრენინგმოდულებისა და მასალის მომზადებას. ტრენინგმოდულები უნდა ითვალისწინებდეს აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ბოლონიის პროცესის ევროპული ჩარჩო დოკუმენტების/სარეკომენდაციო სახელმღვანელოების მიმოხილვას, აკრედიტაციის სტანდარტების და შეფასების პროცედურების თავისებურებების ანალიზური ხასიათის მიმოხილვას, აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობას, ასევე, ცენტრის შიდა სამართლებრივი აქტების მიმოხილვას, რომელიც უკავშირდება ექსპერტთა საქმიანობას და ეთიკურ საკითხებს.
6.3.2. კანდიდატთა ტესტირება (წერითი დავალება), რომელიც გულისხმობს: ტესტირების საკითხების მომზადებას, ტესტირების ჩატარებას, ტესტირების შედეგების გაცნობას;
6.3.3. გასაუბრება, რომელზედაც დაიშვება ის კანდიდატი, რომელიც ტესტირების (წერითი დავალების) ეტაპზე მიიღებს ტესტირებისთვის (წერითი დავალებისთვის) განკუთვნილი მაქსიმალური ქულის არანაკლებ 60%-ს.
6.3.3.1. გასაუბრების ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდება როგორც დარგობრივი ცოდნა, ასევე, ამ ბრძანების მე-4 მუხლის 4.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების ცოდნა, მათი გამოყენების ანალიტიკური უნარები, აგრეთვე ამავე მუხლის 4.6. პუნქტში მითითებული უნარები:
6.3.4. კონკურსის შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა - არაუგვიანეს 2023 წლის პირველი აგვისტოსი.
6.3.5. საკონკურსო კომისიის ოქმის საფუძველზე ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩეულ კანდიდატთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსში.
7. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე -hr.gov,ge:
ა) წარადგინოს განაცხადი, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ავტობიოგრაფია (CV), რომელშიც მითითებული იქნება საკონტაქტო ინფორმაცია და კანდიდატის აკადემიური და სამეცნიერო მიღწევები დარგობრივ სფეროში;
ბ) ატვირთოს სამოტივაციო წერილი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი).
8. კანდიდატი ვალდებულია განაცხადში (www.hr.gov.ge) დამატებითი ინფორმაციის ველში მითითებული ბმულის მეშვეობით - https://forms.office.com/e/50EW7NkqRb - მიუთითოს ის სწავლის სფერო/სფეროები, რომლის/რომელთა კვალიფიკაციის პროგრამის შესაფასებლად მას გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.
9. კანდიდატი უფლებამოსილია ერთი დეტალური სფეროს ან ხელოვნების, პერსონალური მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების სხვადასხვა დეტალური სფეროს ქვეშ მონიშნოს რამდენიმე სწავლის სფერო.
10. ტრენინგი, ტესტირება და კანდიდატის გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციების თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
11. ტესტირებასა ან გასაუბრებაზე კანდიდატის არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება, წარმოადგენს კანდიდატის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

12. დაევალოს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სატრენინგო მოდულისა და ტრენინგის მასალების შემუშავება, ტრენინგების ჩატარება, წერითი დავალებისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, კანდიდატთა ტესტირებისათვის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის შერჩევა და კონკურსანტთა ნაშრომების შეფასება.
13.დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს:
ა) კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge;
ბ) შემოსული განაცხადების გადარჩევა (საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის განცხადის შესაბამისობის დადგენა);
გ) ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
14. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
15. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია ცენტრის დრექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შედგენილ სააპელაციო კომისიაში.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ